

**განმარტებითი ბარათი**  
**„საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო**  
**დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების**  
**შეტანის შესახებ“**  
**საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონის პროექტის მომზადება განაპირობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმამ. რაც იწვევს საქართველოს კანონში „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას. კერძოდ: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ნაპირფორმირების პროცესების კვლევისა და მართვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი „საქნაპირდაცვა“ შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის“ სტრუქტურულ შემადგენლობაში, რამაც აუცილებელი გახდა ცვლილებების განხორციელება ზემოაღნიშნულ კანონში.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც წარმოიშვა განხორციელებული სტრუქტურული და სისტემური რეფორმების შედეგად. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქნაპირდაცვის“ რეორგანიზაციის შემდეგ, მისი ძირითადი ფუნქციები გადაეცა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს“, აქედან გამომდინარე საჭირო გახდა განხორციელებულიყო საკანონმდებლო ცვლილებებიც და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქნაპირდაცვის“ ფუნქციები კანონით გადაცემოდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს“.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების მდგრადობის უზრუნველყოფის მიღწევით, სანაპირო ზონების დასახლებების დაცვა დატბორვისაგან, საინჟინრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და რეკრეაციული დანიშნულების პლაჟების დაცვა წარეცხვისაგან, კანონმდებლობით მოწესრიგებულ სფეროში რეგულირების ახალი წესებისა და ახლადწარმოქმნილ სუბიექტებს შორის უწყებრივ ურთიერთობათა განსაზღვრა.

კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება კანონის სათაური, ვინაიდან დღეს არსებული რედაქციით კანონის რეგულირების სფერო არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წყალსატევებზე, რაც გარკვეულ საკანონმდებლო ვაკუუმს ქმნიდა.

კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის სახელმწიფო მართვის სისტემა, კერძოდ კანონის დღეს მოქმედი რედაქციით სანაპიროს დაცვის ზონის გამოყენებასა და იქ მიმდინარე ეროზიულ და აკუმულაციურ პროცესებზე მეთვალყურეობას ახორციელებს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, რომელიც დღეს მდგომარეობით აღარ არსებობს, კანონპროექტით კი სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის გამოყენებასა და იქ მიმდინარე ეროზიულ და აკუმულაციურ პროცესებზე მეთვალყურეობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

კანონპროექტის თანახმად, მოხდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნაპირფორმირების პროცესების კვლევისა და მართვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი „საქანაპირდაცვის“ რეორგანიზაცია და იგი გაერთიანდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის“ სტრუქტურაში, ხოლო მის ბალანსზე არსებული ქონება გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს“. კანონპროექტის თანახმად, ახლებურად ყალიბდება კანონის მე-10 მუხლის, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაზღვრულია მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობის სფერო. ცენტრი ადგენს სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის გენერალურ სქემებს, ნაპირდაცვითი პიდროტექნიკური ნაგებობების პროექტებს, ახორციელებს ნაპირდაცვითი და ნაპირადდგენითი სამშენებლო საქმიანობის ორგანიზებას, ახორციელებს სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონებში მონიტორინგს. კანონპროექტის თანახმად, სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების საზღვრებს შეიმუშავებს „მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი“, რომელსაც შესაბამის დაინტერესებულ უწყებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებთან შეთანხმების შემდგომ ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

კანონპროექტის თანახმად ახლებურად ყალიბდება კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის მონაცემთა ბაზის შექმნისა და მონიტორინგის წესს, ასევე სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, რომელთა საქმიანობა ან ნაგებობები იწვევს სანაპირო ზონებში განვითარებულ ეროზიულ პროცესებთან დაკავშირებულ ზიანს, რაც შესაბამისად გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს იმ შემთხვევაში თუ ასეთი ზიანი დადგება. რა რაოდენობით გაზრდის საშემოსავლო ნაწილს ამის წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია, ვინაიდან იგი დამოკიდებულია მიყენებულ ზიანის ოდენობაზე.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები გავრცელდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთა საქმიანობასთან ან მათ კუთვნილ შენობა-ნაგებობებთან იქნება დაკავშირებული სანაპირო ზონებში სტიქიური

პროცესების განვითარება და მათთან დაკავშირებული ზიანი. გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესი შემუშავდება კანონის მიღების შემდეგ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ზიანის ანაზღაურება დაეკისრება ზიანის მიმყენებელს და ის არ დაფინანდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

კანონპროექტის მიმართ ორგანიზაციის ან/და ექსპერტის შეფასება არ განუხორციელებულა.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.